პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-13 წელი

№ 71 (981) | ოთხშაბათი, 29 აგვისტო, 1956 წ. | ფასი 30 კაპ.

საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი

ერთიანი ბიბლიოთეკა

დარბაზის მშენებლობა დაიწყო

საბურთალო... მკითხველს ალბათ თვალწინ წარმოუდგება ხალხით გაჭედილი ბაზარი, ხელზე მოვაჭრეთა გრძელი რიგებით, აყალ-მაყალით, თავმომაბეზრებელი ზუზუნით — სავაჭრო ადგილისათვის დამახასიათებელი ყველა დეტალით. მაგრამ ეს ულამაზო სურათები წარსულმა წაიღო. ახლა საბურთალოს ბაზრის ტერიტორია სავაჭრო ორომტრიალის ნაცვლად ექსკავატორებისა და მანქანების მოტორთა გუგუნს დაუფარავს. აქ გაცხოველებით მიმდინარეობს სპორტული დარბაზის მშენებლობის სამუშაოები. მშენებლობის ტერიტორიიდან გააქვთ უკანასკნელი ფარდულები, სავაჭროები. დილიდან გვიან ღამემდე ექსკავატორის რკინის ხორთუმი მძლავრად ანგრევს გაქვავებულ გრუნტს. თვითმცლელი მანქანები განუწყვეტლივ ეზიდებიან ამონაყარ მიწას.

ექსკავატორი, რომელსაც ვ. გლაზოვი მართავს, ყოველდღიურად 300 კუბ. მეტრ მიწას იღებს. ქვაბური სულ უფრო ფართოვდება და ღრმავდება. დღესათვის უკვე შესრულებულია 6.000 კუბ. მეტრი მიწის სამუშაო, მაგრამ ეს წვეთია ზღვაში. ქვაბური ერთ ჰექტარ ფართობს დაიკავებს, ხოლო სიმაღლე 6 მეტრი ექნება. ამ ვეებერთელა ქვაბურის შესაქმნელად ათეულ ათასობით კუბ. მეტრი მიწისა და კლდის სამუშაოები უნდა შესრულდეს. ამ დავალების პირნათლად განაღდებისათვის აქ თავდადებული შრომაა გაჩაღებული.

საბურთალოს სპორტული ნაგებობა უდიდესი იქნება დედაქალაქში. იგი 7.000 კვადრატულ მეტრ ფართობს დაიჭერს, რომლის ირგვლივ მოეწყობა ბაღი და 400-მდე მსუბუქი ავტომანქანის გასაჩერებელი. სადემონსტრაციო დარბაზი განკუთვნილია ათი ათასი მაყურებლისათვის. იგი ისეა დაგეგმილი, რომ სრული დატვირთვის შემთხვევაშიც კი 10-12 წუთში დაიცლება. თავისი კონსტრუქციით საბურთალოს სადემონსტრაციო დარბაზი იშვიათ ნაგებობას წარმოადგენს. იგი გადახურული იქნება რკინაბეტონის თხელი გარსით. დარბაზის ფასადი მოპირკეთდება ექლარის ქვით. სადემონსტრაციო დარბაზის მშენებლობა 13 მილიონამდე მანეთი დაჯდება.

როგორც ხედავთ, მშენებლებს რთული და საპასუხისმგებლო სამუშაო მოელით. თუ ამას დავუმატებთ სადემონსტრაციო დარბაზის უქონლობით გამოწვეულ უხერხულობებს თბილისში დიდ შეჯიბრებათა ჩატარების დროს, მშენებელთა პასუხისმგებლობა კიდევ უფრო იზრდება. თბილისელი სპორტის მოყვარულები მოუთმენლად მოელიან სადემონსტრაციო დარბაზის აგებას.

და მშენებლებიც გატაცებით შრომობენ, რომ თავისუფლად ამოისუნთქონ თბილისელმა სპორტის მოყვარულებმა. მაყურებელთა შორის ამაყად დასხდებიან დღევანდელი მშენებლებიც, რომლებმაც ოფლი დაღვარეს, ენერგია დახარჯეს საქართველოს სპორტსმენებისათვის ამ ძვირფასი საჩუქრის მომზადებაზე.

გაივლის დღეები და საბურთალოს ბაზრის ტერიტორია დიდ სამშენებლო ობიექტად გადაიქცევა. მოვლენ მებეტონეები, მეარმატურეები, კალატოზები, დურგლები. აგურს აგური მიემატება, მაღლა აიწევს ხარაჩოები და ძველ ნაბაზრალზე მხარგამლით წამოიმართება მშენებელთა თავდადებული ნაყოფიერი შრომის შედეგი — საბურთალოს სადემონსტრაციო სპორტული დარბაზი.

რომ უფრო ახლოს იყოს ეს დღე, რომ უფრო მალე მიიღონ სპორტსმენებმა და სპორტის მოყვარულებმა ეს საჩუქარი, საჭიროა მშენებლებს აქტიური დახმარება აღმოვუჩინოთ. სასურველია ამ სასახელო საქმეში ჩაებნენ მოსწავლე ახალგაზრდობა, კომკავშირელები. ჩვენ ყველას გვახსოვს, თუ რა ძვირფასი შედეგი გამოიღო ლუჟნიკის სტადიონის კომკავშირულ მშენებლობად გამოცხადებამ. მოსკოველთა ეს მაგალითი ჩვენც უნდა გადმოვიღოთ. საბურთალოს სპორტული დარბაზის მშენებლობაში ჩვენი რესპუბლიკის ჭაბუკებსა და ქალიშვილებს დიდი წვლილის შეტანა შეუძლიათ.

• • •

სურათზე: სამუშაო დღე სადემონსტრაციო დარბაზის მშენებლობაზე.

ჩემპიონის სახელისათვის

საინტერესოდ მიმდინარეობს მსოფლიო ჩემპიონის სახელის პრეტენდენტთა მატჩ-ტურნირი. III ტურის რუდენკო-რუბცოვას შეხვედრაში მეტოქეებმა თავი აარიდეს გართულებებს და თამაშის გამარტივებით ყაიმზე შეთანხმდნენ.

IV ტურით დაიწყო შეჯიბრების მეორე წრე. ბიკოვა შავებით ეთამაშებოდა რუდენკოს. დებიუტში მსოფლიო ჩემპიონი მხედრის არახელსაყრელი მანევრით მძიმე პოზიციაში მოექცა. ამით კარგად ისარგებლა რუდენკომ და ცენტრში ძლიერი გამსვლელი პაიკები შექმნა. პარტია გადაიდო რუდენკოს უპირატესობით.

V ტურში მსოფლიო ჩემპიონმა რუბცოვასთან პარტიაში ძველინდური დაცვა გაითამაშა, მაგრამ მალე დაკარგა ინიციატივა. რუბცოვამ ელვისებური იერიში მიიტანა ბიკოვას მეფის პოზიციაზე და უკვე მე-20 სვლისათვის იგი საშამათო მუქარების წინაშე დააყენა. შამათიდან თავის დასაღწევად მსოფლიო ჩემპიონი იძულებული იყო ლაზიერი დაეთმო ეტლში, მხედარსა და პაიკში. ამ გარემოებამ რუბცოვას საგრძნობი უპირატესობა მისცა. პარტია გადაიდო.

მ უ შ ა ო ბ ი ს მ თ ა ვ ა რ ი უ ბ ა ნ ი

საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის დევიზების მთავარი მუხლი იყო: „საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადა ტარდება ჩვენს სამშობლოში ფიზკულტურისა და სპორტის აღმავლობისათვის, ახალი ტალანტების გამოვლენისათვის". ამ კეთილშობილურ მიზანს ემსახურებოდა საბჭოთა სპორტის ისტორიაში მანამდე არნახული ღონისძიება, ხალხთა სპარტაკიადა, რომელმაც ძირითადად გაამართლა მასზე დამყარებული იმედები.

სპარტაკიადის მიმდინარეობის დღეებში რესპუბლიკის სპორტის მოყვარულთა მთელი ყურადღება მოსკოვისაკენ, ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონისაკენ იყო მიმართული. ჩვენ ბევრჯერ გამოვხატეთ აღტაცება, ჩვენი სიმპათია (როდესაც ფეხბურთელები და წყალბურთელები ზედიზედ იგებდნენ მატჩებს), ბევრჯერაც სინანულით ჩავიქნიეთ ხელი (როდესაც კალათბურთელებმა და ფრენბურთელებმა იმედები ვერ გაამართლეს), მაგრამ საერთო ჯამში რესპუბლიკა კარგად გამოვიდა სპარტაკიადაზე და უძლიერესთა შორის საპატიო ადგილი დაიკავა.

მაგრამ საინტერესოა, მაშინ, როდესაც მოსკოვში სპარტაკიადა მიმდინარეობდა, და მაშინაც, როდესაც ამ გრანდიოზულ ღონისძიებაში საუკეთესო შედეგით გამოსვლისათვის ფართო მუშაობა იყო გაშლილი, რას აკეთებდნენ რაიონული, საქალაქო და საოლქო კომიტეტები, სპორტული საზოგადოებები ნიშნოსანთა და თანრიგოსანთა მომზადების სახელმწიფო გეგმების განაღდებისათვის? დასამალი არაფერია. ჩვენ სპარტაკიადამ ისე გაგვიტაცა, რომ ეს მეტად მნიშვნელოვანი საქმე, რომელიც მთელი ჩვენი მუშაობის დასაყრდენია, მხედველობიდან გამოგვრჩა.

გადავხედოთ მიმდინარე წლის პირველი ნახევრის შედეგებს. არც ერთ პუნქტში გეგმა არ გვაქვს შესრულებული. ასე მაგალითად: I და II საფეხურის ნიშნოსნების მომზადების გეგმა შესრულებულია 40 პროცენტით, სპორტის ოსტატობის — 26 პროცენტით, პირველთანრიგოსნებისა — 27 პროცენტით, მესამეთანრიგოსნებისა — 43 პროცენტით, თუ გავითვალისწინებთ; რომ მიმდინარე წელს რესპუბლიკამ უნდა მოამზადოს 72 სპორტის ოსტატი და 793 პირველთანრიგოსანი, ნათელი გახდება, თუ როგორ დაძაბულად უნდა ვიმუშაოთ და რაციონალურად უნდა გამოვიყენოთ 1956 წლის დარჩენილი დღეები.

ის ამბავი, რომ ზოგიერთ რაიონში უკვე მეორე თვეა, რაც მასობრივ-ფიზკულტურული ღონისძიება არ ჩატარებულა, იმაზე მეტყველებს, რომ ფიზკულტურულ-სპორტული ზემდგომი ორგანიზაციები ამ საქმეს გულგრილად ეკიდებიან. ზოგიერთი რაიონის ფიზკულტურული მუშაკი უქნარობის ჭაობში იმდენად ჩაეფლო, რომ გასული ექვსი თვის განმავლობაში ვერცერთი ნიშნოსანი და თანრიგოსანი ვერ მოამზადა (ახმეტის, ბოგდანოვკის, გარდაბნის, დმანისის, კაჰრეთისა და წალკის რაიონები). გეგმების შესრულებით მაინცდამაინც ვერც აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, ფოთის, ყაზბეგის, ვანის, სიღნაღის, ლაგოდეხის, ქუთაისისა და სხვა რაიონების ფიზკულტურისა და სპორტის მესვეურები დაიტრაბახებენ. რაშია საქმე, რატომ ჩამორჩება ნიშნოსანთა და თანრიგოსანთა მომზადება ამ რაიონებში? ჩვენ გვგონია, რომ პირველ რიგში ბრალი მიუძღვით კომიტეტებს, რომლებმაც არ დარაზმეს აქტივი. დროზე არ გაშალეს მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობა და არ ჩააბეს ახალგაზრდობა ფიზკულტურულ საქმიანობაში. რასაკვირველია, კომკავშირული ორგანიზაციებიც არიან დამნაშავენი. ფიზკულტურა ხომ მათი ღვიძლი საქმეა, ისინი ხომ ფიზკულტურული მოძრაობის სულისჩამდგმელები არიან? მაშ რატომ ვერ სრულდება ნიშნოსანთა მომზადების გეგმები აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთში და რესპუბლიკის რაიონებში.

კიდევ რამდენიმე დღე და ზაფხული დამთავრდება, შემოდგომა საქართველოში მზიანი იცის, მაგრამ არა ყოველთვის. ამიტომ საჭიროა, ვიდრე კარგი ამინდები დგას და ავდარს ფიზკულტურული ღონისძიების გამართვისათვის ხელი არ შეუშლია, ყველა დღე რაციონალურად გამოვიყენოთ. ადგილობრივი მასშტაბის ღონისძიებებს, საკოლმეურნეო და საწარმოო ძირეული ფიზკულტურული კოლექტივების ამხანაგურ შეჯიბრებებს, რომლებზეც შესაძლებელია მშთ ნორმების ჩაბარება, დიდი თანხები არ სჭირდება, ისინი შეიძლება მოვაწყოთ აქტივის დახმარებით. ჩვენ ეს საქმე უნდა გავაკეთოთ დაუყოვნებლივ, თუ არ გვსურს „კოლმეურნის" აბაშის რაიონის თავმჯდომარის გ. ჩიტიას ხვედრი გავიზიაროთ. მან დროულად არ იზრუნა ნიშნოსანთა მომზადებაზე და როდესაც ანგარიშის ჩაბარების დრომ მოაღწია, ყალბი ანგარიში შეადგინა და „კოლმეურნის" რესპუბლიკურ საბჭოს გაუგზავნა. ჩიტია დაისაჯა, მაგრამ მისი დასჯით გეგმა ხომ არ შესრულებულა?

რესპუბლიკის ფიზკულტურულ და სპორტულ ორგანიზაციებს, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის ნაკრები გუნდების მომზადებაში, არ შეჰფერით ამ მნიშვნელოვან საქმეში ჩამორჩენა. მთელი მათი საქმიანობა, აქტივის ყურადღება, პარტიულ და კომკავშირული ორგანიზაციების დახმარება გადატანილ უნდა იქნას ნიშნოსანთა და თანრიგოსანთა მომზადებაზე. ეს არის ამ პერიოდში ჩვენი მუშაობის ერთ-ერთი მთავარი უბანი.

ხალხთა სპარტაკიადის მონაწილე საქართველოს ნაკრები გუნდების წევრების საყურადღებოდ!

მიმდინარე წლის 31 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე, თბილისის „დინამოს" სტადიონის სპორტის ოსტატთა კლუბში დანიშნულია ხალხთა სპარტაკიადის მონაწილე საქართველოს ნაკრები გუნდების წევრების შეკრება.

დასწრება ყველასათვის სავალდებულოა.

მოსწავლეთა სპარტაკიადა

მოსკოვში დამთავრდა მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა, რომლის ბოლო დღეებში ნაჩვენები იქნა რამდენიმე მაღალი შედეგი. ლენინგრადელმა ი. ფედოროვმა 6-კილოგრამიანი ურო ტყორცნა 62 მეტრსა და 35 სანტიმეტრზე, რაც ახალი საკავშირო რეკორდია ჭაბუკთა შორის. ჰოკაით ხტომაში დიდ წარმატებას მიაღწია საქართველოს გუნდის წარმომადგენელმა გ. ველცევიჩმა, მან დაძლია 3 მ 80 სმ სიმაღლე და მოიპოვა პირველი ადგილი.

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე გამარჯვებული თბილისელი ზ. ნიკიტინი და უკრაინელი გ. ანდროსოვი უძლიერესნი აღმოჩნდნენ ამჯერადაც. თბილისელმა გამარჯვება მოიპოვა 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში — 4.46,9, ხოლო უკრაინელმა პირველი ადგილი დაიკავა თავისუფალი სტილით 1.500 მეტრზე ცურვაში — 19.49,1.

საყოველთაო ინტერესს იწვევდა ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრება. უძლიერესთა შორის გამარჯვება მოიპოვეს საქართველოს წარმომადგენლებმა. მეორე ადგილი დაიკავა რუსეთის ფედერაციის გუნდმა, მესამე ადგილზეა მოსკოველთა კოლექტივი.

საერთო ჩათვლაში სპარტაკიადაზე პირველი ადგილი დაიკავა მოსკოვის გუნდმა. მომდევნო ადგილებზე არიან რსფსრ-ს, უკრაინის, ლენინგრადის, საქართველოსა და ესტონეთის კოლექტივები.

• • •

მოსწავლეთა სპარტაკიადაზე 100 მეტრზე რბენაში საუკეთესო შედეგი აჩვენა ჩეხმა მოსწავლემ ვ. კონისმა, რომელიც შეჯიბრებაში მონაწილეობდა კონკურსგარეშე, მისი შედეგია 10,9 წამი. კონკურსში მონაწილეთაგან პირველი ადგილი დაიკავა ლენინგრადელმა ე. ოზოლინმა, მისი შედეგია 11 წამი.

სურათზე: 100 მეტრზე რბენის ფინიში.

ფოტო ა. ბატანოვისა და ს. პრეობრაჟენსკისა.



განვაზოგადოთ სპარტაკიადის გამოცდილება

ბირთვის კვრა

ხალხთა სპარტაკიადაზე სომხეთის წარმომადგენელმა ვ. ოვსეპიანმა დაამყარა ახალი საკავშირო რეკორდი ბირთვის კვრაში. მისი შედეგი 17 მ 85 სმ ერთ-ერთი საუკეთესოა ევროპაში.

ბირთვის კვრის დასაწყისში ოვსეპიანი ზურგით მობრუნებულ მდგომარეობაშია (ნაწილობრივ) კვრის მიმართულებით. ასეთი სასტარტო მდგომარეობა მას საშუალებას აძლევს გააგრძელოს ძალის ზემოქმედება იარაღზე.

სხეულის სიმძიმე ამ მომენტში ოვსეპიანს გადატანილი აქვს მარჯვენა ფეხზე (კადრი 1). ჩვენის აზრით, მძლეოსანს ნაკლად შეიძლება ჩაეთვალოს მეტად გამართული დგომი. სხეული უფრო ძლიერად უნდა იყოს დახრილი მარჯვენა მუხლისკენ.

წინასწარ მოძრაობათა შემდეგ (მარცხენა ფეხის აწევა და მარჯვენის გამართვა) სრულდება ნახტომი (კადრები 2, 3, 4), მარჯვენა ფეხი მკვეთრად იმართება და ახრიალებს არეკნს წრის ზედაპირიდან, რასაც ხელს უწყობს მარცხენა ფეხის ენერგიული აქნევი (კადრი 5).

ნახტომი სრულდება დაბლა, მარჯვენა ფეხი თითქოს სრიალებს მიწაზე. კორპუსი იწყებს გამართვას, ხოლო მარცხენა ფეხი ეშვება მიწაზე თითქმის ერთდროულად მარჯვენასთან (კადრი 6). ჩვენის აზრით, ამ მდგომარეობაში ოვსეპიანმა საჭიროა კიდევ უფრო დახაროს კორპუსი მარჯვენა ფეხისაკენ. ასეთმა მდგომარეობამ მძლეოსანს უკეთესი პირობები უნდა შეუქმნას საბოლოო მოძრაობათა შესრულებისათვის.

ოვსეპიანი იწყებს მარჯვენა ფეხით არეკნს წინ-მაღლა და სხეულის სიმძიმე გადააქვს გამართულ მარცხენა ფეხზე (კადრები 7, 8). ამ კადრებზე ჩანს, რომ სხეული ზედმეტად „ჩქარობს", მძლეოსანი საკმარისად არ იყენებს მარცხენა ხელს, რომელიც არ უნდა იყოს დაძაბული.

ამას მოსდევს ძლიერი „დაწოლა" ბირთვზე (კადრი 9), რომელსაც ოვსეპიანი ამთავრებს ფეხების სწრაფი შეცვლით და ნახტომებით მარჯვენა ფეხზე წონასწორობის შენარჩუნებისათვის.

ვფიქრობთ, რომ თუ ოვსეპიანი გამოასწორებს თავის ხარვეზებს ტექნიკაში, მას შეეძლება უფრო მაღალი მაჩვენებლების მოპოვება.

ა. ტარასევიჩი

თვითეულ ფიზკულტურულ კოლექტივს—სპორტული მოედანი

ახალგაზრდობას შორის ფიზკულტურისა და სპორტის მასობრივ განვითარებაში წამყვანი ადგილი უკავია სპორტულ ბაზას. რაც უფრო ახლოა იგი ფიზკულტურულ კოლექტივთან — მით უფრო დატვირთული და გამოყენებულია. რესპუბლიკის ყველა მოწინავე ფიზკულტურულ კოლექტივს გააჩნია საკუთარ სპორტულ ნაგებობათა კომპლექსი, რომელიც შეიცავს კალათბურთის, ფრენბურთის მოედნებს, მძლეოსნურ სექტორებს, საჭიდაო სარბიელს და სხვ. კეთილმოწყობილი სპორტული ნაგებობები მყარ საფუძველს ჰქმნიან სპორტში ახალგაზრდობის მასობრივი ჩაბმისათვის.

ფიზკულტურულ კოლექტივებში სპორტული ბაზების მოწყობის საკითხს ფართო ყურადღება დაუთმო საქართველოს კომკავშირის XX ყრილობამ. ყრილობის გადაწყვეტილების საფუძველზე რესპუბლიკაში მოეწყო მარტივი ტიპის სპორტული ბაზების მშენებლობისა და კეთილმოწყობის ერთთვიური. ბევრ ქალაქში, რაიონსა და ფიზკულტურულ კოლექტივში სერიოზულად მოეკიდნენ ამ საპასუხისმგებლო საქმეს. სპორტული ბაზების მშენებლობისა და კეთილმოწყობის ერთთვიურში განსაკუთრებით ნაყოფიერი მუშაობა გასწიეს ახალციხის, გალის, გორის, გულრიფშის, გურჯაანის, ვანის, თელავის, ორჯონიკიძის, ოჩამჩირის, ლანჩხუთის, მახარაძის, ცხაკაიასა და ჭიათურის კომკავშირულმა და ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა. მაგალითად, ოჩამჩირის რაიონში ახლად მოეწყო კალათბურთის 19, ფრენბურთის 22, ფეხბურთის 27 მოედანი, ხუთი სასროლეთი, რამდენიმე ათეული მძლეოსნური სექტორი.

სპორტული ბაზების კეთილმოწყობის საქმეში თავი გამოიჩინა ბევრმა ფიზკულტურულმა კოლექტივმა, მათ შორის თბილისის ცხიმკომბინატის, საფინანსო-საკრედიტო ტექნიკუმის, ავჭალის საშუალო სკოლის, ახალციხის პირველი და მეორე შახტების, ბათუმის რაიონის სოფელ ჩაისუბნის, კაჭრეთის რაიონის სოფელ არაშენდის, ზესტაფონის I-ლი საშუალო სკოლის, ცაგერის რაიონის სოფელ სურიაშის საკოლმეურნეო, ჩხოროწყუს რაიონის ლესიჭინის ჩაის საბჭოთა მეურნეობისა და სხვა ფიზკულტურულმა კოლექტივებმა.

სულ რესპუბლიკაში ერთთვიურის ჩატარების პერიოდში აშენდა 2.400-ზე მეტი მარტივი ტიპის სპორტული ნაგებობა, ხოლო შეკეთდა 3.700-ზე მეტი სპორტული ბაზა. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით აშენდა და კეთილმოეწყო ფრენბურთის (1.217), კალათბურთის (641), ფეხბურთის (434) მოედნები, აგრეთვე მძლეოსნური სექტორები. არ შეიძლება აქვე არ აღინიშნოს, რომ რესპუბლიკაში ჯერ კიდევ არ ექცევა სათანადო ყურადღება საცურაო აუზების, სასროლეთების, ტანვარჯიშული ბაქნების, ჩოგბურთის კორტების მოწყობას.

საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა სპორტული ბაზების მშენებლობისა და კეთილმოწყობის ერთთვიურში წარმატებისათვის საპატიო სიგელებით დააჯილდოვა კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციები, აგრეთვე აქტივისტები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს აღნიშნული ღონისძიებების ჩატარებაში.

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის ზოგიერთი ქალაქისა და რაიონის კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციები უპასუხისმგებლოდ მოეკიდნენ ამ ფრიად მნიშვნელოვან საქმეს. ერთთვიურის პერიოდში არავითარი ღონისძიება არ ჩატარებულა თიანეთის რაიონში. სუსტად იმუშავეს ადიგენის, ბორჯომის, ზნაურის, თერჯოლის, ლაგოდეხის, მარნეულის, საგარეჯოს, წყალტუბოს რაიონების, აგრეთვე ქალაქების გორის, სტალინირისა და რუსთავის კომკავშირულ-ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა.

ასეთი მდგომარეობა ყოვლად მოუთმენელია. კომკავშირულმა და ფიზკულტურულმა აქტივმა უფრო ქმედითი მონაწილეობა უნდა მიიღოს ამ საპასუხისმგებლო საქმის გადაჭრაში. ამოცანა ის არის, რომ თვითეულ ფიზკულტურულ კოლექტივს ჰქონდეს მარტივი ტიპის საკუთარი სპორტული ბაზა. ამასთან უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ ადგილობრივ სპორტსმენთა დაოსტატებისა და შეჯიბრებათა მაღალ დონეზე ჩატარებისათვის აუცილებელია კომპლექსური სპორტული ბაზები.

წინ ბევრი საინტერესო სპორტული ღონისძიება გველის, მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალგაზრდობის რესპუბლიკური ფესტივალით გათვალისწინებული სპორტული შეჯიბრებები. ამ ღონისძიებათა მაღალ დონეზე ჩატარებისათვის აუცილებელია მეტი და კეთილმოწყობილი სპორტული ბაზები.

დ. კინწურაშვილი,
საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილე.

მოიპოვა
ოქროს მედალი

◆

რ. ძნელაძემ

◆

ჭიდაობის მოყვარულები მოუთმენლად მოელოდნენ ცნობებს მოსკოვიდან. მათი მღელვარება სავსებით გასაგები იყო. ჩვენმა მოჭიდავეებმა ფართოდ გაითქვეს სახელი და ახლა მთავარი იყო იქ, საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე, ღირსეულად დაეცვათ ეს მდიდარი სპორტული ტრადიციები. როცა მარცხით გულნატკენი სპორტის მოყვარულები უკეთესის მოლოდინით ინუგეშებდნენ თავს, საერთო ყურადღების ცენტრში ერთბაშად მოექცა ფართო სპორტული საზოგადოებისათვის მანამდე უცნობი მოჭიდავე რომან ძნელაძე.

— რას იზამს რომანი, გახდება თუ არა ჩემპიონი? — ამ კითხვაზე პასუხის მოლოდინში გულშემატკივრებს მოსვენება ჰქონდათ დაკარგული. პასუხმა დიდხანს არ დაიგვიანა: ქვემსუბუქი წონის მოჭიდავემ რ. ძნელაძემ ბრწყინვალედ ჩაატარა ფინალი და ხალხთა სპარტაკიადაზე პირველად მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი კლასიკურ ჭიდაობაში.

გზა, რომელიც რ. ძნელაძემ გაიარა ჭიდაობით გატაცებული ბავშვიდან საბჭოთა კავშირის ჩემპიონამდე, დაძაბული სპორტული ბრძოლების, გამარჯვებათა სიხარულის, დამარცხებათა სინანულის 8 წელიწადს მოიცავს. 1948 წელს 15 წლის რ. ძნელაძე პირველად მივიდა სპორტული სკოლის კლასიკური ჭიდაობის სექციაში მწვრთნელ ნ. აკოფოვთან. ადრე, როცა ფიზკულტურის მასწავლებელმა ი. კერესელიძემ უთხრა სექციაში წაგიყვან ჭიდაობის შესასწავლადო, ტოლბიჭებში უძლიერესად აღიარებულმა პატარა ფალავანმა იწყინა კიდეც: ამხანაგებზე გამარჯვებებით გამედიდურებულ რომანს თავი ნამდვილ მოჭიდავედ წარმოედგინა, ხოლო მას ჭიდაობა თურმე არც ცოდნია. მასწავლებელი რომ მართალი იყო, ამაში რომანი დარწმუნდა სექციაში მისვლის პირველ დღესვე. მაგრამ გული არ გატეხია, გატაცებით შეუდგა მეცადინეობას, ყოველდღიურად უფრო სრულყოფილად ითვისებდა ჭიდაობის მრავალფეროვან ილეთებს.

1952 წლისათვის რ. ძნელაძე უკვე პირველთანრიგოსანი მოჭიდავე იყო. პირველი სპორტული წრთობა მან მოსწავლეთა რესპუბლიკურ პირველობაზე მიიღო. დებიუტი ბედნიერი გამოდგა. ეს იყო ნაყოფიერი წვრთნის ლოგიკური შედეგი. რ. ძნელაძის აგრესიულმა, ტექნიკურმა ჭიდაობამ საერთო მოწონება დაიმსახურა. მან დაუმარცხებლად ჩაატარა შეჯიბრება და პირველი ადგილი დაიკავა.

რ. ძნელაძე წარმატებას არ გაუთამამებია, მას შეგნებული ჰქონდა, რომ ფართო სარბიელზე გამოსვლისათვის გაცილებით უფრო მრისხანე მეტოქეებთან მოუხდებოდა შერკინება, ამიტომ წვრთნას მეტი ენერგიითა და გატაცებით შეუდგა. 1952 წელს რ. ძნელაძემ რესპუბლიკის ჩემპიონის სახელი დაიმსახურა, ხოლო ივანოვოში გამართულ ჭაბუკთა საკავშირო პირველობაზე მეორე ადგილზე გამოვიდა.

1952 წლის საკავშირო პირველობაზე ერევანში რ. ძნელაძემ მედგარი წინააღმდეგობა გაუწია ხალიჩის გამოცდილ ოსტატებს. განსაკუთრებით დაძაბული იყო მისი ჭიდაობა მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონ ტერიანთან, რომელიც თავდაპირველად იოლ გამარჯვებას ვარაუდობდა, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ რ. ძნელაძის სახით მას საქმე ჰქონდა შეუპოვარ მეტოქესთან. თანაბართა ორთაბრძოლაში უმნიშვნელო უპირატესობით გამარჯვება ბაქოელ ტერიანს დარჩა. რ. ძნელაძემ ამ ჩემპიონატში მესამე ადგილი დაიკავა.

შემდეგ, სარატოვში მოწყობილ საკავშირო პირველობაზე ძველი მეტოქეები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. განვლილი სამი წლის მანძილზე რ. ძნელაძე, როგორც მოჭიდავე, საგრძნობლად გაიზარდა, გაიმდიდრა ტექნიკური არსენალი. ღონესაც უფრო მოჭარბებულს გრძნობდა. როცა ისინი პირისპირ დადგნენ საჭიდაო ხალიჩაზე და დარბაზი დაძაბული შერკინების მოლოდინის ჟინმა შეიპყრო, რ. ძნელაძემ მტკიცედ გადაწყვიტა რევანში აეღო ერევანში მიყენებული დამარცხებისათვის. ქადილი საქმეს არ დასცილებია — რ. ძნელაძემ დამსახურებულად გაიმარჯვა. ამ ჩემპიონატზე მან პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა.

რ. ძნელაძის სპორტული ბიოგრაფია შესანიშნავი გამარჯვებით შეივსო საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის დღეებში. ქვემსუბუქი წონის მოჭიდავეთა შორის ამ შეჯიბრებაზე გამოდიოდნენ მსოფლიოში ცნობილი მოჭიდავეები ტერიანი, პუნკინი, სტაშკევიჩი. მეორე წრეში რ. ძნელაძე შეხვდა თავის ნაცნობ მოწინააღმდეგეს ტერიანს. წაგების შემთხვევაში იგი ფინალში ვერ ხვდებოდა. ჩოქბჯენში რ. ძნელაძემ ორჯერ ამოატრიალა ხიდურზე მოწინააღმდეგე. როცა დრო ამოიწურა, არცერთ დამსწრეს ეჭვი არ შეპარვია ქართველი მოჭიდავის გამარჯვებაში.

თუ ვინ გახდებოდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ქვემსუბუქ წონაში — ეს უნდა გადაეწყვიტა პუნკინისა და ძნელაძის შეხვედრას. თბილისელს გამარჯვებისათვის მეტი შანსი ჰქონდა. საქმე იმაში იყო, რომ პუნკინს აუცილებლად სუფთად უნდა მოეგო, ხოლო რ. ძნელაძისათვის ქულებით მოგებაც საკმარისი იყო. ჩოქბჯენში რ. ძნელაძემ თავის ფანდზე დაიჭირა მეტოქე და ბეჭებით დააწვინა ხალიჩაზე.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი დაეკიდა რ. ძნელაძეს. მან ხალხთა სპარტაკიადის დღეები პირველი ოქროს მედლის მოპოვებით დაათარიღა.

ა. კონსტანტინოვი

ეს იყო შესანიშნავი მატჩი

როცა მატჩი დამთავრდა, კაპიტნებმა ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს, მსაჯს მადლობა გადაუხადეს და გვირაბისაკენ გაემართნენ, მაყურებლებმა ხანგრძლივი ტაშით გააცილეს ორივე გუნდი, გამარჯვებულიც და დამარცხებულიც. და უნდა ითქვას, რომ ფეხბურთელებმა სავსებით სამართლიანად დაიმსახურეს მაყურებელთა მოწონება. წელს თბილისის სტადიონზე არ ყოფილა ასეთი დაძაბული, საინტერესო მატჩი, ასეთი მაღალი კლასის თამაში.

დიქტორს ჯერ არ ჰქონდა დამთავრებული გუნდების შემადგენლობათა გამოცხადება, რომ „ზენიტის“ კართან უკვე რამდენიმე სახიფათო მომენტი შეიქმნა, რომელთაგან ერთი კინაღამ გოლით დამთავრდა (ხასაიამ თავით ააცილა კარს ჰკუასელის მოწოდებული ბურთი). ლენინგრადელებმა სწრაფად მოახერხეს მოწინააღმდეგის იერიშების ლიკვიდირება და კონტრშეტევაზე გადმოვიდნენ. სტუმრები ფიზიკურად კარგად არიან მომზადებული, თამაშობენ სწრაფად, ენერგიულად, დიდი დატვირთვით. გუნდი სრული შემადგენლობით, მთლიანობის დაურღვევლად გადადის დაცვიდან თავდასხმაზე და პირიქით, მცველები მჭიდროდ იჭერენ მოწინააღმდეგეებს, ხოლო თავდასხმაში კომბინაციის გათამაშებისას ერთ-ერთი თავდამსხმელი ყოველთვის იმყოფება თავისუფალ პუნქტში ბურთის მისაღებად. მეტად ძლიერად თამაშობდნენ ზენიტის ნახევარმცველები და შუამარბები, რომლებმაც დასაწყისში შეძლეს ინიციატივის აღება მინდვრის შუაგულში.

მსაჯის პირველი სასტვენიდან გასული იყო მხოლოდ 10-15 წუთი და მატჩის დაძაბულობამ მაქსიმუმს მიაღწია. უაღრესად მწვავე ბრძოლა წამითაც არ შენელებულა. სტუმრები ცდილობდნენ თავისი ზონიდან გამოეტყუებინათ ძიაპშიპა და მარცხენა ფლანგზე გარღვევაზე გაეყვანათ ა. ივანოვი, მაგრამ კოტრიკაძეს უშეცდომოდ ეკავა თავისი პოზიცია, ხოლო თუ ძიაპშიპა ხანდახან ტოვებდა ზონას, იგი გულევსკისთან ბრძოლაში გამარჯვებული ბრუნდებოდა უკან. „ყველაფერი რიგზე“ იყო ხოჭოლავას მხარესაც, ხოლო ლოლობერიძე და იამანიძე დაუღალავად მუშაობდნენ როგორც დაცვაში, ისე შეტევის დასაწყისში.

პირველ ტაიმში ზენიტელებს ჰქონდათ ერთგვარი ტერიტორიული უპირატესობა, მაგრამ თბილისელთა იერიშები გაცილებით უფრო გეგმიანი, ეფექტური და მოულოდნელი იყო. საგანგებო მეთვალყურეობის ქვეშ იყვნენ აყვანილი ხასაია, რომელსაც ერთი ნაბიჯითაც არ ცილდებოდა ხუდოიაში და ჰკუასელი, მაგრამ ჰკუასელმა (იგი ამ დღეს ბრწყინვალედ თამაშობდა) რამდენჯერმე მაინც შეძლო სახიფათოდ გასვლა და ლენინგრადელები ყოველგვარი საშუალებით ცდილობდნენ დაეცვათ კარი მისი დარტყმებისაგან. „დინამოს“ თამაშში ერთადერთ ნაკლად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ მარცხენა ფლანგი (მესხი) პირველ ნახევარში ნაკლებად იყო ჩაბმული შეტევაში.

პირველი ტაიმი უშედეგოდ დამთავრდა. შესვენების შემდეგ თამაშმა კიდევ უფრო მწვავე ფორმები მიიღო. დაიწყო თუ არა ტაიმი. ხასაიამ, ლოლობერიძემ და მესხმა გაითამაშეს სწრაფი კომბინაცია, რომელიც მესხმა შორი მანძილიდან ზუსტი დარტყმით დაამთავრა — 1:0.

„ზენიტმა“ ცადა ეს მარცხი მაშინვე გამოესწორებინა, მაგრამ თბილისელთა შეჩერება შეუძლებელი იყო. კერძოდ, შეუძლებელი იყო ჰკუასელის დაკავება, რომლის მიმართ ბელკოვი ყველა (როგორც ნებადართულ, ისე აკრძალულ) ზომას ხმარობდა. 23-ე წუთზე ჰკუასელმა გადასცა ბურთი ხასაიას, ხასაიამ ვაგნიძეს და ამ უკანასკნელმა ცარიელი კარის ხაზიდან ზევით გადააგდო ბურთი. სამი უძნელესი დარტყმა აიღო ივანოვმა ჰკუასელისაგან.

გავიდა 30 წუთი. ცხადი ხდებოდა, რომ ხუდოიაშს თანდათან სულ უფრო უჭირდა ხასაიას დაჭერა და „ზენიტის“ დაცვამ კიდევ უფრო დაიხია უკან. 35-ე წუთზე ჰკუასელმა მიიღო ბურთი იამანიძისაგან. ლენინგრადელებმა ამჯერად ვერ მოასწრეს მისთვის ფეხის გამოდება (ასეთი ცდა კი იყო) და ძლიერი დარტყმის შემდეგ ძელს მოხვედრილი ბურთი კარში გავიდა — 2:0.

იმავე წუთს ხასაია კვლავ გაექცა ხუდოიაშს და მეკარის პირისპირ აღმოჩნდა. მცველმა უკანასკნელ საშუალებას მიმართა, რომელიც თამაშის წესების თანახმად სასჯელის უმაღლესი ზომით, პენალტით ისჯება. ხასაიამ თვითონვე დაარტყა 11-მეტრიანი — 3:0.

თამაშის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო, მაგრამ ამ შესანიშნავ მატჩს ბოლო წუთებამდე შერჩა უკიდურესი დაძაბულობა. ზენიტელებმა ერთხელ კიდევ ცადეს ანგარიშის გაუმჯობესება და პირაევს რამდენიმე მეტად ძნელი ბურთის აღება მოუხდა ბონდარენკოს, დენისოვისა და ცარიცინისაგან.

მე-40 წუთზე ჰკუასელმა ოსტატურად გაიყვანა გარღვევაზე ხასაია, რომელმაც ზუსტად მიაწოდა ბურთი კალოევს, რომელმაც არ დააყოვნა მისი კარში გატანა — 4:0.

ამ ანგარიშით თბილისის „დინამომ“ მოიგო შეხვედრა, რომელშიც ორივე გუნდმა ჩინებული თამაში აჩვენა.

• • •

დუბლიორთა მატჩი დამთავრდა „ზენიტის“ გამარჯვებით, ანგარიშით 2:1.

ბ. ქორქია

◆

თბილისი. 26 აგვისტო. „დინამოს“ სტადიონი.

„დინამო“ (თბილისი) — „ზენიტი“ (ლენინგრადი) — 4:0 (0:0).

„ზენიტი“ — ლ. ივანოვი, გეკი, სამარინი, ხუდოიაში, ბელკოვი, კრავეცი, დენისოვი, ცარიცინი, გულევსკი, ბონდარენკო, ა. ივანოვი.

„დინამო“ — პირაევი, კოტრიკაძე, ძიაპშიპა, ხოჭოლავა, იამანიძე, ლოლობერიძე, ხასაია, ვაგნიძე, კალოევი, ჰკუასელი, მესხი.

მსაჯი ვ. ბარაშკოვი (მოსკოვი).

◆



• • •

სურათზე: ბურთი მიჰქრის ლენინგრადელთა კარში. ქვევით—ხოჭოლავა ბურთისათვის ბრძოლის დროს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 29 აგვისტოსათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“	18	12	3	3	57:24	27
„დინამო“ მ.	19	9	7	3	39:23	25
ცდსა	17	7	5	5	30:26	19
„დინამო“ კ.	16	6	7	3	22:17	19
„ბურევ.“	17	8	3	6	30:37	19
„ტორპედო“	17	6	5	6	31:28	17
„დინამო“ თბ.	18	6	4	8	33:32	16
„შახტიორი“	18	4	7	7	25:37	15
„ლოკომოტივი“	18	3	8	7	21:22	14
„ზენიტი“	16	2	10	4	16:28	14
ოფ. სახ. სვ.	15	4	3	8	21:32	11
„შრ. რეზერვ.“	17	2	6	9	18:37	10

• • •

მოსკოვი. 25 აგვისტო. დედაქალაქის „დინამომ“ თავის მინდორზე მიიღო ლენინგრადის „შრომითი რეზერვები“.

დინამოელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 5:0.

• • •

მოსკოვი. 26 აგვისტო. აქ გაიმართა მატჩი მოსკოვის „ტორპედოსა“ და ცდსა-ს შორის.

შეხვედრა მოიგეს არმიელებმა — 4:2.

• • •

მოსკოვი. 28 აგვისტო. მორიგ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის გუნდები „ლოკომოტივი“ და „სპარტაკი“.

გაიმარჯვა „სპარტაკმა“ — 2:1.

◆

ფიდეს კონგრესი

26 აგვისტოს მოსკოვში საბჭოთა კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში გაიხსნა საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის მორიგი, XXVII კონგრესი. ფედერაციის წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას საბჭოთა კავშირის საჭადრაკო სექციის სახელით მიესალმა გროსმაისტერი ვ. რაგოზინი.

კონგრესმა განიხილა საორგანიზაციო და საფინანსო საკითხები. ფედერაციის პრეზიდენტმა ფოლკე როჯარდმა აღნიშნა, რომ კონგრესს ესწრება 30 ნაციონალური საჭადრაკო ორგანიზაციის წარმომადგენელი. სხდომის მონაწილენი კმაყოფილებით შეხვდნენ იმ ცნობას, რომ ფედერაციის წევრებად მიღებული არიან ჭადრაკის სამშობლოს — ინდოეთისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საჭადრაკო ორგანიზაციები.

კონგრესმა განიხილა საკვალიფიკაციო კომისიის შუამდგომლობა და საერთაშორისო ასპარეზზე თვალსაჩინო სპორტული და შემოქმედებითი მიღწევებისათვის საერთაშორისო გროსმაისტერის საპატიო სახელი მიანიჭა საბჭოთა ოსტატ ვ. კორჩნოისა და ბელგიელ ოსტატ ოკელის, საერთაშორისო ოსტატობის სახელი — ისლანდიელ ოლაფსონს, გერმანელ ულმანსა და სხვებს.

საქართველოს პირველობა

ოთხი შეხვედრა

26 აგვისტოს გაიმართა მორიგი ტურის მატჩები საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში.

ქუთაისში თამაშობდნენ ადგილობრივი „დინამო“ და თბილისის 26 კომ. სახ. რაიონის გუნდი. დინამოელებმა თავიდანვე ხელთ იგდეს ინიციატივა და დიდი ხნით „დასახლდნენ“ მოწინააღმდეგის ნახევარზე, მაგრამ ანგარიშის გახსნა ვერ მოახერხეს. ერთ-ერთი ასეთი შეტევისას თბილისელებმა სწრაფი გარღვევა განახორციელეს და კოჩეტკოვმა ბეჟიაშვილის გადაცემიდან გაიტანა ბურთი.

მეორე ტაიმის დასაწყისში ქუთაისელები უკვე წინ იყვნენ ანგარიშით 2:1. შემდგომში მოწინააღმდეგეებმა ერთმანეთის კარში თითო ბურთი გაიტანეს და საინტერესო თამაში დამთავრდა ქუთაისელთა გამარჯვებით ანგარიშით 3:2.

ფოთის „ბურევესტნიკმა“ თავის მინდორზე მიიღო ქუთაისის „ტორპედო“. ფოთელებმა მე-5 წუთზე გახსნეს ანგარიში, მაგრამ მალე „ტორპედომ“ საჯარიმო დარტყმიდან გაქვითა გოლი. ტაიმის დასასრულამდე ტორპედოელთა კარში გატანილ იქნა მეორე ბურთი. შესვენების შემდეგ ფოთელებმა მრავალი შესაძლებლიდან წარმატებით გამოიყენეს ერთი და გაიმარჯვეს ანგარიშით 3:1.

თბილისში ერთმანეთს შეხვდნენ ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს გუნდი და სტალინირის „სპარტაკი“. თამაშის პირველი ნახევარი დამთავრდა 4:1 თბილისელთა სასარგებლოდ. მეორე ტაიმში სპარტაკელებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს თამაში, მაგრამ ცვლილება ანგარიშში არ მომხდარა. გაიმარჯვეს ტრამვაელებმა — 4:1.

27 აგვისტოს რუსთავში თამაშობდნენ ადგილობრივი „მეტალურგი“ და თბილისის „ლოკომოტივი“. ორი ტაიმის განმავლობაში ანგარიში არ გახსნილა — 0:0.

საქართველოს პირველობის გათამაშებიდან მოიხსნა ახალგაზრდა ფეხბურთელთა სკოლის გუნდი (თბილისი). ვინაიდან გუნდს არ ჰქონდა ჩატარებული თამაშების 50 პროცენტი, მისი ყველა შედეგი გაუქმებულია.

ცხრილი

მეორე ზონა

მდგომარეობა 29 აგვისტოსათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ოფ. სახლი თბილისი	21	15	5	1	63:11	35
„კრ. სოვეტოვი“ კუიბიშევი	20	15	2	3	49:9	32
„სპარტაკი“ ერევანი	21	11	7	3	41:13	29
„ნეფტიანიკი“ ბაქო	20	12	3	5	41:23	27
„ნეფტიანიკი“ კრასნოდარი	21	11	3	7	42:26	25
„ტორპედო“ გორკი	21	10	4	7	31:28	24
„ზენიტი“ იჟევსკი	21	7	10	4	34:32	24
ქ. ვორონეჟი	22	7	9	6	25:24	23
„ტორპედო“ სტალინგრადი	22	9	3	10	34:32	21
ქ. მოლოტოვი	22	8	5	9	18:23	21
„ავანგარდი“ ჩელიაბინსკი	21	7	6	8	24:26	20
„ტორპედო“ როსტოვი	21	6	6	9	29:25	18
„პახტაკორი“ ტაშკენტი	17	6	5	6	18:20	17
„ავანგარდი“ სვერდლოვსკი	21	4	8	9	22:33	16
„უროჟაი“ ალმა-ატა	20	4	6	10	19:34	14
„სპარტაკი“ ფრუნზე	21	3	6	12	14:50	12
„კოლხოზჩი“ აშხაბადი	21	3	5	13	16:45	11
„კოლხოზჩი“ სტალინაბადი	21	0	5	16	10:76	5

• • •

ფრუნზე. 26 აგვისტო. (ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორ.). აქ გაიმართა მორიგი ტურის მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე „ბ“ კლასში (მეორე ზონა). გათამაშების ლიდერი თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდი შეხვდა ადგილობრივ „სპარტაკს“.

სპარტაკელებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს ლიდერს, რომელიც ამ დღეს თავის შესაძლებლობაზე სუსტად თამაშობდა. მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

გამოვლინდნენ ფინალისტები

მახარაძე. (ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორ.). დამთავრდა წინასწარი თამაშები საქართველოს „კოლმეურნის“ პირველობაზე ფეხბურთში.

„ა“ ქვეჯგუფში პირველ ადგილზე გამოვიდნენ ქობულეთელი ფეხბურთელები, მეორე ადგილზეა ვანის გუნდი. „ბ“ ქვეჯგუფში გამარჯვება მოიპოვა ლანჩხუთის გუნდმა, მეორე ადგილზეა მახარაძის გუნდი.

ამ ოთხი გუნდისაგან შექმნილია ფინალური ჯგუფი, სადაც გათამაშდება პირველი ადგილი.

ა. გონელი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

◆

საკავშირო შეჯიბრება

ამას წინათ ლენინგრადის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში დამთავრდა საბჭოთა კავშირის გუნდური პირველობა ჭადრაკში მოსწავლეთა შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, რსფსრ-ს, უკრაინის, ლატვიის, საქართველოსა და სხვა რესპუბლიკების ნორჩ მოჭადრაკეთა კოლექტივები. თვითეულ გუნდში შედიოდა 8 ჭაბუკი და 4 გოგონა.

დაძაბული ბრძოლის შემდეგ I ადგილზე გამოვიდნენ რსფსრ-ს მოჭადრაკეები, რომლებმაც 74 ქულა დააგროვეს. II ადგილი დაიკავა მოსკოვის გუნდმა (73,5 ქულა), III — უკრაინამ (66 ქულა), IV — ლენინგრადმა (64,5 ქულა), V — საქართველომ (54 ქულა), VI — ლატვიამ (48,5 ქულა) და ა. შ.

ნ. გაფრინდაშვილმა 6,5 ქულით ტიმოფეევასთან (რსფსრ) II-III ადგილი გაიყო. მან საერთო ანგარიშში ხუთი პარტია მოიგო, სამი ყაიმით დაამთავრა და ერთი (მოსკოველ ალფეევასთან) წააგო.

IV დაფაზე დიდი წარმატებით ითამაშა თინა ქორქოლაძემ, რომელმაც 9 შესაძლებლიდან 7 ქულა მოაგროვა.







ჰერლუფ ბიდსტრუპი

„რა გააკეთა ახალი ბიდსტრუპმა?“—კითხულობს დანიელი მოქალაქე, როცა გადაშლის კოპენჰაგენის ყოველდღიურ გაზეთს „ლანდ ოგ ფოლკს“.

ჰერლუფ ბიდსტრუპი ყველაზე პოპულარული კარიკატურისტია, არა მარტო თავის ქვეყანაში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც. ბიდსტრუპი „ლანდ ოგ ფოლკის“ თითქმის ყოველ ნომერში ათავსებს კარიკატურა-მოთხრობებს, როგორც საყოფაცხოვრებო, ასევე პოლიტიკურ თემებზე. მას აგრეთვე აქვს კარიკატურა-მოთხრობები სპორტულ თემებზე.

სულ რამდენიმე თვის წინ ბიდსტრუპი სხვა უცხოელ კარიკატურისტებთან ერთად ეწვია მოსკოვს. უცხოელ კარიკატურისტებს ჟურნალ „კროკოდილის“ რედაქციაში მოუწყვეს შეხვედრა, სადაც სტუმრებმა ერთიმეორის მეგობრული შარჟები ჩახატეს.

დღევანდელ ნომერში ბიდსტრუპის კარიკატურულ მოთხრობებთან ერთად ვათავსებთ ამ გონებამახვილი და სიცოცხლით სავსე დანიელი მხატვრის მეგობრულ შარჟს, რომელიც შესრულებულია ერთ-ერთი უცხოელი კარიკატურისტის მიერ.

გ. ფირცხალავა

ხალხთა სპარტაკიადის შთაბეჭდილებები

მაყურებელთა გასაჭირი

5 აგვისტოს 77-ე საფოსტო განყოფილების საქმიან დავთარში გაკეთდა პირველი აღნიშვნა — უბრალო დეპეშა, 16 სიტყვა, ვლადიმერ კუცი, ომსკიდან. დაახლოებით ერთი საათის შემდეგ კვლავ ამუშავდა სატელეგრაფო აპარატი და წვრილ ლენტაზე აღინიშნა კიდევ ერთი ნაცნობი გვარი — მიხეილ კრივონოსოვს.

ასე აიდგა ფეხი ლუჟნიკის კავშირგაბმულობის განყოფილებამ, რომელიც სულ მალე მოსკოვში ყველაზე პოპულარული და საქმიანი გახდა. დეპეშები, მოსალოცი წერილები, ღია ბარათები მოდიოდა ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხიდან და უცხოეთიდანაც. ფოსტის მუშაკები მოზღვავებულ საქმეს ძლივს ართმევდნენ თავს.

ერთ დღეს განყოფილებაში მოვიდა წერილი ავთანდილ ღოღობერიძის სახელზე. ფეხბურთის გულშემატკივარი შორეულ ირკუტსკიდან რწმენას გამოთქვამდა, რომ საქართველოს გუნდი სპარტაკიადაში საპატიო ადგილს დაიკავებდა. წერილი თავდებოდა შემდეგი სიტყვებით: „როგორც რუსეთის ფედერაციის მცხოვრებს, ბუნებრივია მოსკოვის გუნდის მხარეს უნდა ვიყო, მაგრამ ჩემი სიმპათიები ყოველთვის თბილისელთა ლამაზი და ტემპიანი თამაშისაკენაა. იმედია, მაპატიებენ მოსკოველი ფეხბურთის მოყვარულები თუ ჩემს ხმას თბილისელთა გულშემატკივრებისას შევუერთებ“.

— ძლიერი ყოველთვის არახელსაყრელ მდგომარეობაშია მხარდაჭერის მხრივ. მათ ისიც ეყოფათ, რომ ძლიერები არიან ჩვენ კი ჩვენი შეძლებით ხელი უნდა შევუწყოთ სუსტი გუნდის წარმატებას. ასეთი სოლიდარული წესით ხელმძღვანელობენ მაყურებლები ლუჟნიკში.

ბუნებრივია, ასეთ პირობებში ყველაზე „დაჩაგრული“ მოსკოვისა და საქართველოს გუნდები იყვნენ, რადგან ფინალამდე მათ ყველა შეხვედრა მოიგეს, ფინალში კი მაყურებლებმა ვერ მოახერხეს დარაზმვა ერთი რომელიმე გუნდის მხარეს, რადგან ძნელი გასარკვევი იყო სუსტი და ძლიერი.

სპორტს მოსკოვში ბევრი თაყვანისმცემელი და მცოდნე ჰყავს. მაგრამ თუ სტატისტიკას დავეყრდნობით, ფეხბურთს უპირატესობა აქვს სხვა სახეობებთან ისე, როგორც ათს ერთთან. ამიტომ ჩვენ არ გაგვკვირვებია, როდესაც ერთმა შუახნის კაცმა მოგვილოცა სპარტაკიადაში მეორე ადგილის დაკავება.

—გმადლობთ, მაგრამ მეორე ადგილი ჩვენ ფეხბურთში გვაქვს, საერთო ჩათვლაში კი მეხუთე ადგილზე გამოვედით — ვუპასუხეთ უცნობს.

— ეს სულ ერთია. მთავარია, რომ თქვენ ფეხბურთში გაიმარჯვეთ. — ცხადი იყო, რომ ეს ადამიანი ყველაფერს ტყავის ბურთით, 22 მოთამაშით და მწვანე მინდვრით ზომავდა.

«პერსონალური ლოჟა»

რამდენიმე თვის წინ გაზეთებში რომ დაბეჭდილიყო სტატია სათაურით — თამაშს უყურებს 103.000 მაყურებელი, იგი გაკვირვების გრძნობას და ოდნავ ეჭვსაც კი გამოიწვევდა. ეს გრანდიოზული ექვსნიშნა რიცხვი განსაკუთრებით წარმოუდგენელი იქნებოდა იმისათვის, ვინც შეჩვეულია ტრიბუნებზე 40-50 ათას მაყურებელთა შორის ყოფნას. ლენინგრადის სტადიონი დიდხანს ერთადერთი „ასიათასიანი“ იყო ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ ისიც სეზონში სულ რამდენჯერმე განიცდიდა მაქსიმალურ დატვირთვას.

როდესაც ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონის სიდიდეზეა ლაპარაკი, სიზუსტისადმი პატივისცემის გრძნობა გვავალებს ვაღიაროთ, რომ სტადიონის ვეებერთელა ამფითეატრი იტევს არა 103.000 მაყურებელს, როგორც ამის შესახებ წერენ და ლაპარაკობენ, არამედ ერთით მეტს ე. ი. 103.001. ეს ერთი ადგილი, ანუ როგორც მას შეარქვეს „პერსონალური ლოჟა“, დაიბევა ლუჟნიკის ახალგაზრდა მშენებელმა მიხეილ ფედოროვმა. აღმოსავლეთის ტრიბუნაზე, ოცდამეშვიდე, თუ ოცდამეთხუთმეტე რიგის ბოლო სხვა რიგებთან შედარებით ოცი-ოცდახუთი სანტიმეტრითაა გამოწეული. ეს ადგილი დანომვრაში არ მოჰყვა. ეს არის სწორედ მიხეილ ფედოროვის ლოჟა, საიდანაც ხელისგულივით მოჩანს სტადიონის მწვანე ხავერდოვანი სარბიელი.

— სხვა ვინმემ რომ ვერ შეიძინოს ლუჟნიკზე შესასვლელი ბილეთი, არაფერს არ ნიშნავს. ჩემთვის კი ეს დიდი ტრაგედია იქნებოდა, რადგან მე გულითაც და საქმითაც სპორტსმენი ვარ. — განაცხადა ფედოროვმა.

დაუმთავრებელი დუელი

სიურპრიზები ყოველ დიდ შეჯიბრებას ახლავს თან და ყველაზე უფრო საგულისხმო ის არის, რომ მისი ავტორები უმთავრესად ნაკლებად ცნობილი სპორტსმენები არიან. ვინ იფიქრებდა, რომ სახელგანთქმული მოცურავე მარია გავრიში წააგებდა ფინალს ყველასათვის უცნობ ალა კოვალენკოსთან? ან მსოფლიოს ჩემპიონი კლასიკურ ჭიდაობაში სტაშკევიჩი დამარცხდებოდა პირველთანრიგოსან ესტონელ ტიმინგასთან?

ამ მხრივ შედარებით არხეინად იყვნენ ქვემსუბუქი წონის ძალოსნები, რადგან რაფაელ ჩიმიშკიანი აგერ უკვე რამდენიმე წელია, რაც მკაცრად აკონტროლებდა პირველი ადგილისათვის მებრძოლთა რიგებს. ძალოსნებმა კარგად იცოდნენ, რომ სიურპრიზები მათ ჩემპიონებს არ უყვართ და განსაკუთრებით ჩიმიშკიანს.

უკვირდათ საზღვარგარეთ — ისეთი ძლიერი ძალოსანი, როგორიც უდოდოვია, მსოფლიო ჩემპიონის ჯვარცხლბეკზე რომ არ მდგარა, მაგრამ მოაგონდებოდათ ჩიმიშკიანი და მიზეზიც ცხადი ხდებოდა. ერთი სიტყვით თითქოს ასე დაწესდა: ჩიმიშკიანისათვის ჩემპიონობა, უდოდოვისათვის მეორე ადგილი.

მოახლოვდა ხალხთა სპარტაკიადის თარიღი, მოახლოვდა ქვემსუბუქი წონის ძალოსანთა კიდევ ერთი გენერალური დათვალიერების დღე. შეჯიბრების წინა ვარჯიშს ჩიმიშკიანი ლოგინში შეხვდა, სიცხიანი და შეიძლება მაშინ მიხვდა პირველად იგი, რომ უდოდოვთან გადამწყვეტი ბრძოლისათვის საჭირო ძალებს მას წამლები ვერ აღუდგენდნენ.

ორი ძველი მეტოქის ორთაბრძოლა ბოლოსდაბოლოს უდოდოვის გამარჯვებით დამთავრდა. როდესაც ახალ ჩემპიონს ოქროს მედალი პირველად ჩიმიშკიანმა მიულოცა, გამარჯვებულის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

— პირველი ადგილი ჩემთვის ძალზე საპატიო და საამაყოა, მაგრამ ჯობდა მოგება გამოჯანმრთელებულ მეტოქესთან ბრძოლაში დამრჩენოდა.

რაფაელი კი თავის დამარცხების შესახებ ასე ლაპარაკობდა:

— ეს ერთის მხრივ უკეთესიცაა, ყოველ შემთხვევაში ანგარიშგასაწევია. ჩვენ კიდევ შევხვდებით ერთმანეთს ფიცარნაგზე და საერთო ძალებით ვეცდებით შევებრძოლოთ ახალ მწვერვალებს. უდოდოვმა მართალია წაართვა ჩემპიონობა, მაგრამ მსოფლიო რეკორდისათვის საბრძოლო ასპარეზი კიდევ წინ არის.

ზ. ჯაფარიძე.
ნ. ბუბუშვილი.

„მრგვალ“ მინდორზე

ამას წინათ კურორტ ბეშუმის მახლობლად (ხულოს რაიონი) მდებარე მრგვალ მინდორზე მოეწყო რაიონის კოლმეურნე ცხენოსანთა შეჯიბრება, რომელმაც მრავალი მაყურებელი მიიზიდა. ყველას ყურადღების ცენტრში დოღი და მარულა იყო, მრგვალი მინდვრის სახელდახელოდ მოწყობილ იპოდრომზე კარგად როდი ჩანდა შეჯიბრების მთელი მსვლელობა, მაგრამ მაყურებლები მაინც ახერხებდნენ დაენახათ ყველა ცვლილება შეჯიბრების მსვლელობაში.

საინტერესო გამოდგა მარულა 8 კილომეტრზე. აქ თავიდანვე დაწინაურდა სოფელ ღორჯომის ნ. ს. ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, ნორჩი მხედარი ჰ. ადამიძე, რომლის ცხენმა ფინიშის ხაზი პირველმა გადაჭრა. II ადგილზე აღმოჩნდა გამარჯვებულის თანასოფლელი გ. ბერიძე, III ადგილი მიეკუთვნა სოფელ თაგოს წარმომადგენელს ი. ცეცხლაძეს.

ოთხკილომეტრიან დოღში ყველას აჯობა სოფელ ღორჯომის გუნდის წარმომადგენელმა დ. გორგაძემ, II და III ადგილები გაიყვეს გ. ბერიძემ და ნორჩმა მხედარმა თ. ზოიძემ. ოთხკილომეტრიან მარულაში დამარცხებისათვის თ. ზოიძემ რევანში აიღო სამთო დოღში. სადაც პირველ ადგილზე გამოვიდა. დაბრკოლებათა ზოლის გადალახვაში ყველას აჯობა ღორჯომელმა მ. ართმელაძემ. თარჩიაში გაიმარჯვა სოფელ ღორჯომის გუნდმა, ხოლო ისინდში პირველი იყო აგარის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის კოლექტივი.

შეჯიბრებაში საერთო გუნდური პირველობა წილად ხვდათ ღორჯომელ ცხენოსნებს.

ცხენოსანთა ეს საინტერესო შეჯიბრება ხულოს რაიონში წელს მეორედ მოეწყო, ამიტომ, რა თქმა უნდა, შეჯიბრების მსვლელობაში ადგილი ჰქონდა ცალკეულ ნაკლოვანებებს, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ რაიონის ყველა კოლმეურნეობამ არ მიიღო მონაწილეობა ამ სპორტულ ღონისძიებაში, აგრეთვე შესამჩნევი იყო სპორტსმენთა დაბალი ოსტატობა.

გ. აროშიძე,
ხულოს რაიონული გაზეთის რედაქტორი.

რედაქტორი ი. უგულავა

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორისა — 3-89-62, პ.-მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვების — 3-38-25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი. ლენინის ქ. № 14. უე 03092